სალამი საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დელეგატებს!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-40 ᲬᲚᲘᲡ № 21 (11632) | ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 25 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1960 წ. | ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ



ნახ. ი. ᲭᲝᲭᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XX ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ, 25 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ, ᲓᲘᲚᲘᲡ 10 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ.

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲗᲐ

არის დიადი პარტია ჩვენი,
გვინათებს წარსულს, აწმყოს და მყობადს
და მის უძლეველ დროშაზე მღერის
ხალხთა მშვიდობა და ხალხთა ძმობა!

ქვეყანა მისი სინათლით მიდის
და გამარჯვებებს საზღვარი არ აქვს,
მან ხალხთა ძმობის გასჭიმა ხიდი,
დაუძმობილა არეზი-არაგვს.

ჩვენ მზეს ვეძახით პარტიის დროშას,
კაცურ-კაცობას, გმირობას, ნამუსს,
პარტია ზრდიდა ხალხების ოჯახს
და ჩემს საყვარელ, სანუკვარ მამულს!

პარტიამ სიბრძნის გაშალა წიგნი
ჩვენ დავეწაფეთ ჩაუქრობ ნათელს
და ერთნაირად გვესმოდა იგი
შეკავშირებულ რუსსა და ქართველს.

ჩვენ მარად ვეტრფით ლენინის სახელს —
ქვეყნიერების მხსნელსა და იმედს,
მისი პარტია წარუძღვა ხალხებს
და წინ აღუდგა ომების წვიმებს...

შენ, საქართველოვ, გმირობის კერავ,
შენი დიდების შუქურა მოსჩანს
მშვიდობის ცაზე ალისფრად ღელავს
თავისუფლების ელვარე დროშა!

არ მოგეშალოს ხვავი და მადლი,
მიწაზე — ბავშვი, მტრედები — ცაში
და სიყვარული ისე ვით თაფლი
შენ, როგორც ფუტკარს, შეგქონდეს სკაში...

არის დიადი პარტია ჩვენი,
გვინათებს წარსულს, აწმყოს და მყობადს
და მის უძლეველ დროშაზე მღერის
ხალხთა მშვიდობა და ხალხთა ძმობა.

არის ამ ქვეყნად პარტია დიდი
უკვე მრავალი წელიწადია,
სიმართლისა და ძმობის გზით მიდის
კომუნისტების დიდი პარტია.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲓᲦᲔᲡ თბილისში მუშაობას იწყებს საქართველოს კომპარტიის XX ყრილობა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, მთელი ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

სკკპ ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და სახელოვანი ორგანიზაცია — საქართველოს კომპარტია — თავის XX ყრილობაზე მოვიდა იდეურად და ორგანიზაციულად მტკიცე, დარაზმული და პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო შემჭიდროებული.

ყრილობა იკრიბება ჩვენი სამშობლოსათვის ჭეშმარიტად ისტორიულ ვითარებაში, როცა გმირი საბჭოთა ხალხი დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამას, რომელიც სკკპ XXI ყრილობამ მიიღო.

გასული — 1959 წელი ისტორიაში შევა როგორც ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პირველი წელი. საბჭოთა ხალხმა ახალი თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობითა და ყოველდღიური დახმარებით რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ და ყველა მშრომელმა XIX ყრილობიდან გასული ორი წლის მანძილზე თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა 1959 წლის გეგმა როგორც წარმოების საერთო მოცულობის, ისე მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის მხრივ. გამოშვებულია მრავალი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. საქართველოს საწარმოებმა შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს 100 მილიონზე მეტი მანეთი. ყოველდღიურად იზრდება კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელწოდების მ ო პ ო ვ ე ბისათვის მებრძოლთა რიგები. მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა ვალენტინა გაგანოვას. ბევრი რამ გაკეთდა წარმოების სრულყოფის, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და სახსრების ეკონომიისათვის.

აღვნიშნავთ რა საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის მრეწველობის მიერ მიღწეულ წარმატებებს, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ის სერიოზული ხარვეზები, რომლებიც მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივების მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით საერთო პროდუქციის გამოშვების 1959 წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მთელმა რიგმა საწარმოებმა (საერთო რიცხვის 16 პროცენტმა) ვერ უზრუნველყვეს სახელმწიფო დავალებათა განაღდება.

სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა უფრო ღრმად ჩასწვდნენ წარმოებას, სრულყონ იგი, გამონახონ და აამოქმედონ გამოუყენებელი რეზერვები. მიაღწიონ იმას, რომ ყველა საწარმო მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს პროდუქციის გამოშვების დავალებებს ყველა სახისა და ასორტიმენტის მიხედვით.

სიამაყის გრძნობით მოვიდნენ ყრილობაზე ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წარმოგზავნილნი. საქართველოს სოფლის მეურნეობა ახლა სამშობლოს აძლევს იმაზე ბევრად მეტ მარცვლეულს, ყურძენს, ჩაის, ციტრუსოვანთა ნაყოფს, თამბაქოს, მეცხოველეობის პ რ ო დ უ ქ ტ ებ ს, ვიდრე ამ რამდენიმე წლის წინათ.

ჩვენს რესპუბლიკას სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მკვეთრი აღმავლობის დიდი შესაძლებლობანი აქვს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს რეზერვები ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გამოყენებული, სასოფლო პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც პარტიამ შეიარაღა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებებით, მათ შორის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილებით, უნდა განამტკიცონ და გაამრავლონ სოფლის მეურნეობის დარგში მოპოვებული პირველი წარმატებანი, ბოლომდე დაძლიონ ცალკეულ უბნებზე ჩამორჩენა და განვითარების ახალ ფართო გზაზე გამოიყვანონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგი.

საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობიდან გასული პერიოდი იყო საბინაო და კაპიტალური მშენებლობის, სახალხო განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო წარმატებათა წლები. მნიშვნელოვანი მიღწევები იქნა მოპოვებული მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლების საქმეში.

იდეოლოგიური მუშაობა პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი უბანია. ეს კარგად ესმით რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებმაც საანგარიშო პერიოდში დიდი მუშაობა გასწიეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“ პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო პროგრამად მთელ იდეოლოგიურ მუშაობაში.

ეჭვი არ არის, რომ XX ყრილობის დელეგატები მაღალი ტრიბუნიდან მთელი პრინციპულობით ილაპარაკებენ იმ ნაკლოვანებებსა და გადაუჭრელ საკითხებზე, რომლებიც ხელს უშლიან წინსვლას. ყრილობა დასახავს შემდგომი მოქმედების პროგრამას.

შვიდწლედით დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის პარტია მოუწოდებს პარტიულ ორგანიზაციებს დაუღალავად განამტკიცონ თავიანთი რიგები, განავითარონ მასების შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა, გაშალონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, გადაჭრით აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, აუცილებლად შეასრულონ დაწესებული გეგმები და დავალებანი. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა აამაღლონ ადგილობრივი საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციების როლი.

ამ დღეებში საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, თავიანთ კრებებსა და მიტინგებზე ერთსულოვნად მიესალმებიან და მხარს უჭერენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიის გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ახალი მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ. ისინი მზად არიან კვლავაც არ დაიშურონ ძალები დიდა სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახული დიდი და კეთილშობილური ამოცანების ღრმა შეგნებით მოვიდნენ დღეს საქართველოს კომპარტიის XX ყრილობაზე მისი დელეგატები — რესპუბლიკის კომუნისტთა მრავალთასიანი არმიის წარმომადგენლები. ამ ამოცანების გადაწყვეტის ღრმა რწმენით დაბრუნდებიან ისინი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტებზე.

ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲒᲐᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲐᲛ ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲒᲐᲜᲘ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ — ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲗᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲔᲑᲘ. ᲐᲛ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲦᲠᲛᲐ ᲠᲬᲛᲘᲗ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲯᲕᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ. ᲙᲕᲔᲛᲝᲗ ᲓᲐᲒᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲗᲑᲐᲜᲔ.

ᲒᲝᲠᲘ, ᲑᲐᲛᲑᲔᲣᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ,

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲑᲔᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ძვირფასო დო ელენე! ამ სასიხარულო დღეს, როცა თქვენი მზიური რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში გაიხსნება საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობა, სულითა და გულით მოგესალმებით თქვენ და თქვენი სახელით საქართველოს სახელოვან ფეიქრებს! გისურვებთ წარმატებებს იმ დიად საქმეში, რომელსაც მე, შენ და ათასობით ჩვენისთანა უბრალო ადამიანი ემსახურება. დარწმუნებული ვარ, რომ არ დაიშურებთ ენერგიასა და ცოდნას იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში, რომლებსაც თქვენი რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ყრილობა დაგისახავთ.

ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲐ ᲒᲐᲒᲐᲜᲝᲕᲐ,
სოციალისტური შრომის გმირი.

* * *

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲚᲛᲐᲒᲐᲚᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲩᲐᲓᲣᲜᲔᲚᲘ

ძვირფასო მეგობარო გურამ! თქვენთან ერთად მეც სულითა და გულით მიხარია, რომ საქართველოს კომპარტიის XX ყრილობას შენი კომუნისტური შრომის ბრიგადა კარგი წარმატებებით ეგებება. ეს სიხარული შ-ითხვევითი არ არის. მე ბევრი მეგობარი მყავს. მაგრამ ჩვენს ურთიერთობას სულ სხვანაირი შინაარსი აქვს. თქვენ ხომ პირველნი გამოეხმაურეთ ჩვენს ინიციატივას და პირველნივე გვესტუმრეთ მოსკოვში. ამიტომ არის, რომ თქვენ ჩვენთვის ყველაზე ახლო მეგობრები ხართ და სწორედ ამ მეგობრობის გრძნობით გიგზავნი ამ დეპეშას. გისურვებ ახალ წარმატებებს.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲡᲢᲐᲜᲘᲚᲝᲕᲘᲩᲘ,
ოსტატი, მოსკოვის მახარისხებელი საგზურის დეპოს კომუნისტური შრომის საამქროს უფროსი, კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობის ინიციატორი.

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ,

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობა დიდი მნიშვნელობის ღონისძიებებს დასახავს სოფლის მეურნეობის შემდგომი მექანიზაციის განვითარებისათვის. ეს კი დიდად დაეხმარება სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში. მეც, როგორც მექანიზატორს, გამიხარდება შენი მიღწევები.

ძვირფასო მეგობარო გიორგი! მომილოცავს საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის გახსნის დღე და გისურვებ წარმატებებს შენს შემოქმედებითს შრომაში.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠᲝᲕᲘᲩᲘ,
ვორონეჟის ოლქის ნოვაია უსმანის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი.

* * *

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ, ᲡᲝᲤᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡ ᲛᲔᲦᲝᲠᲔ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲔᲤᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ჩემო მეგობარო დავით! სულ რაღაც ათოოდ დღის წინ იყავი ჩემთან ლვოვში. ასეთი პატარა ისტორია აქვს მე და შენს მეგობრობას, მაგრამ იგი მტკიცეა. მე და შენ ღორების მომვლელი უბრალო ადამიანები ვართ, მაგრამ ჩვენზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამიტომ ჩვენი ქვეყანა, კომუნისტური პარტია დიდად აფასებენ ჩვენს ამ შრომას.

საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის მოწვევის დღეებში მოგილოცავ და გისურვებ წარმატებებს იმ ამოცანების განხორციელებაში, რომლებსაც ყრილობა მეცხოველეებს დაუსახავს.

ᲘᲐᲠᲝᲚᲡᲚᲐᲕ ᲩᲘᲟᲘ,
ლვოვის ოლქის ზოლოჩევის რაიონის სოფელ სტრუტინის კოლმეურნეობის უფროსი მეღორე.





ეს იყო დიდი, ალმაფრთოვანებელი შეფასება

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ანხორციელებენ რა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ პარტიისა და მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, 1958 წელს მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში და ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, თესლოვანი, კუკოვანი და ციტრუსოვანთა ნაყოფის, ხორცისა და მატყლის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები...

... საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ საქართველოს სსრ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს და ყველა მშრომელს მოპოვებულ წარმატებებს...

საკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

30 დეკემბერი. 1958 წელი.

ვ. ი. ლენინი
საქართველოს შესახებ

წერილი გ. კ. ორჯონიკიძეს

„გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“.

ვ. ი. ლენინი

1921 წ. 2/III.

აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს

მხურვალედ მივესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, ნებას მაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჯიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს.

... ნამთი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მადაროები), სპილენძი — ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეთა ოდნავადაც არასრული სია...

... მთელი ძალ-ღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი, მორწყვა... მორწყვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა ავამაღლოთ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, რაც უნდა დაჯდეს.

... ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტროფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აალორძინებს მას, დასახმარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას.

ვ. ი. ლენინი

1921 წ. 14/IV.

დეკემბა XI არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს პირი კავკასიის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს პირი საქართველოს რევკომს პირი ამხ. ორჯონიკიძეს

იმის გამო, რომ მეთერთმეტე არმიის ჯარების ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, წინადადება გეძლევათ სრული კონტაქტი დაამყაროთ საქართველოს რევკომთან და ზუსტად შეუფარდოთ თქვენი მოქმედება რევკომის დირექტივებს, საქართველოს რევკომთან შეუთანხმებლად არ მიიღოთ არავითარი ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ შელახონ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, განსაკუთრებული პატივისცემით მოეკიდოთ საქართველოს სუვერენულ ორგანოებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინოთ ქართველი მოსახლეობის მიმართ. დაუყოვნებლივ მეცით სათანადო დირექტივა არმიის ყველა დაწესებულებას, მათ შორის განსაკუთრებულ განყოფილებასაც. პასუხისმგებელი მეცით ყველა, ვინც ამ დირექტივას არღვევს. გვაცნობეთ ხოლმე დარღვევის ყოველი შემთხვევის ან ადგილობრივ მოსახლეობასთან თუნდაც უმცირესი უთანხმოებისა და გაუგებრობის შესახებ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლენინი

1921 წ. 10/III.

ელექტრომავალმშენებლობას საქართველოში ძალიან მოკლე ისტორია აქვს, მაგრამ ქართული მარკის ელექტრომავლებმა უკვე დაიმსახურეს საიმედო ლოკომოტივის სახელი. ჩვენს რესპუბლიკაში დამზადებული ელექტრომავალი დაჭქრის შორეული აღმოსავლეთის, ციმბირისა და კუზბასის რკინიგზის ხაზებზე.

ამ ძვირფასი მანქანის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ამწყობ-ზეინკლების ბრიგადას, რომელსაც ბურამ ჩადუნელი ხელმძღვანელობს.

როგორც კი დაიწყო კომუნისტური ბრიგადების მოძრაობა, რომელიც დაიბადა მოსკოვის მახარისხებელი სადგურის დეპოს კოლექტივში, ჩადუნელის ბრიგადა მხურვალედ გამოეხმაურა და მოსკოველები სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია. ამწყობ-ზეინკლათა ბრიგადა ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს და მათ მიერ შესრულებული ხამუშაო მუდამ პირველი ხარისხისაა.

სურათზე: გ. ჩადუნელი.

3. ი. ლენინს მოველოდით საქართველოში

1922-24 წლებში ამ სტრიქონების ავტორი სათავეში უდგა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოს და ამავე დროს მომსახურებას უწევდა პარტიულ-საბჭოთა აქტივს. იმ დროს აქტივისათვის გამოყოფილი იყო ზოგიერთი დასასვენებელი სახლი და სანატორიუმი. ერთხელ — ეს იყო 1922 წლის მარტში თუ აპრილში — მე და მაშინდელი ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი გ. ლ. კუჭაძე გამოგვიძახეს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროში რტიშჩევის (ამჟამად ჯაფარიძის) ქუჩაზე, კავკასიის ბიუროს მდივანთან. ამხ. სერგო ორჯონიკიძესთან და წინადადება მოგვცეს ადგილობრივ გაგვეცნო მისთვის კურორტები აბასთუმანი და ბორჯომი. იქიური სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. დილით ადრე ჩვენ სამნი მანქანით გავემგზავრეთ თბილისიდან ბორჯომ გავლით ბორჯომსა და აბასთუმანში. აბასთუმანში რომ მივედით, ყველა სანატორიუმი და აგარაკი დავათვალიერეთ და არჩევანი შევაჩერეთ ყოფილ გიორგის სასახლეზე, რომელიც ნავარაუდევი გვქონდა გამოგვიყო დასასვენებელ სახლად აქტივისათვის. ეს სახლი მაინცდამაინც დიდი არ იყო, ხოლო ჩვენ მიერ გაკეთებული რიმონტის შემდეგ კეთილმოწყობილი იყო. ოთახები ძალიან სადა იყო მორთული. აგარაკის გარშემო, იყო ფიჭვნარი, მოჩხრეალი მდინარე, აუზი და ციცი წყაროს წყალი.

ეს აგარაკი ძალიან მოეწონა ამხ. სერგო ორჯონიკიძეს. ჩვენს კითხვაზე, თუ ვისთვის იყო იგი განკუთვნილი, ამხ. სერგომ გვითხრა: ის, ვინც თავიანი მკურნალობს. შემდეგ აქ დასასვენებლად ჩამოსვლას ამირებს, ყველა ჩვენგანისათვის საყვარელი ადამიანია, მისი ჯანმრთელობა ყველასათვის ძვირფასია და მისი გაჯანსაღებისათვის ყველანი სიხარულით ვიზრუნებთო.

თუმცა ამხ. სერგომ პირდაპირ არ გვითხრა, ვისი დასვენება იყო ნავარაუდევი, მაგრამ ჩვენ მივხვდით, ვინც ავადმყოფობს. და ეხლა გამოოქმული სიხარულით მზად ვიყავით ყველა პირობა შეგვექმნა მშობლიური ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დასვენებისათვის. შემდეგ ბორჯომ-ლიკანში ჩამოვედით, დავათვალიერეთ ლიკანის სანატორიუმი, მისი პარკი და მეურნეობა. ამხ. სერგოს ლიკანის სანატორიუმიც მოეწონა, მაგრამ აბასთუმანი ამჯობინა.

ამხ. სერგომ გვითხრა, რომ ჩვენ აზრს შეატყობინებდა მოსკოვში რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

მალე ჩამოვიდა ვ. ი. ლენინის მკურნალი ექიმი, ხელო შემდეგ 1922 წლის ივნისის დამდეგს ჩამოვიდა რსფსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ამხ. ნ. ა. სემაშკო, რათა დაეთვალიერებინა საქართველოს კურორტები.

კურორტი აბასთუმანი ამხ. სემაშკოს თუმცა მოეწონა, მაგრამ ამჯობინა ბორჯომ-ლიკანი, რომელიც უფრო კეთილმოწყობილი იყო, ჰქონდა პარკის შესანიშნავი მეურნეობა, სადაც ყველა შესაძლებლობა იყო დამზადებულისათვის საკვებისა პირობების შესაქმნელად. ამხ. სემაშკომ მთხოვა გამეკეთებინა მცირე დამატებითი რემონტი და მომემზადებინა ლიკანის სასახლე და აგარაკი ფრიად პასუხისმგებელი მუშაკის მისაღებად. მასაც არ დაუსახელებია, ვინ იყო ეს პიროვნება, მაგრამ ჩვენ ეხვიებოდით, ვისთვის იყო ეს გათვალისწინებული. უნდა ითქვას, რომ იმ დროს ნ. ა. სემაშკო ხელმძღვანელობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მკურნალობას. ამ შენიშვნების შემდეგ მთელი ჩვენი მეცადინეობა იმისაკენ იყო მიმართული, რომ წესრიგში მოგვეყვანა ორივე ეს აგარაკი.

როგორც ახლა უკვე ცნობილია ორივე ეს აგარაკი კურორტებზე აბასთუმანსა და ბორჯომში განკუთვნილი იყო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისათვის.

ვლადიმერ ილიას-ძემ აირჩია კურორტი ბორჯომი.

აი რას სწერდა ვ. ი. ლენინი ამხ. ს. ორჯონიკიძეს:

„ამხ. სერგო! გიგზავნით კიდევ რამდენიმე პატარა ცნობას. ისინი დადმოცა ექიმმა, რომელიც თვითონ იყო ადგილზე და სრული ნდობის ღირსია... ბორჯომი ძალიან კარგია, ვინაიდან იქ გასასეირნებელი ადგილია, ეს კი აუცილებლად საჭიროა.

გარდა ამისა, ბორჯომი შესაფერი სიმაღლეა, აბასთუმანი კი მეტისმეტად მაღალია, 1.000 მეტრზე მეტი. არ შეიძლება. ჩვენი ექიმი განსაკუთრებით გვაფრთხილებს, ადრე არ წამოვიდე, სიცივე და წვიმები იქნება, განსაკუთრებით შუა ივნისამდეო. ამ მხრივ მე იმდენად არ მეშინია, თუ სახურავში წვიმა არ ჩამოდის და თუ სახლს ათბობენ, ვინაიდან ასეთ პირობებში სიცივე და წვიმები საშიში არ არის“.

თუმცა ორივე აგარაკი აბასთუმანსა და ბორჯომში მომზადებული იყო ჩვენთვის ძვირფასი და მშობლიური ლენინის მისაღებად, მაგრამ ვლადიმერ ილიას-ძემ ჩამოსვლა ვერ შეძლო ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო, და ჩვენ ყველანი დიდად შეწუხებული ვიყავით, რომ ვერ შევძელით ხელი შეგვიწყო მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის ჩვენს შესანიშნავ კურორტებზე.

ი. ს. ფრანგულიანი,
სკკპ წევრი 1905 წლიდან.

1959 წლის ქრონიკები

⊙ **საქართველოს** სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 22 აპრილს თბილისის ელმავალსამშენებელო ქარხანას მიეკუთვნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი.

⊙ **21 ივლისი.** თბილისში ამუშავდა ახალი ქარხანა, რომელმაც მოგვცა პირველი პროდუქცია — საკერავი მანქანის ძრავები და მარეგულირებელი რეოსტატები.

⊙ **მწყობრში** ჩადგა ტაშისკარის სარწყავი არხის მთელი სისტემა. ამით ძირითადად გადაიკვრა ქართლის ველის მორწყვის პრობლემა.

⊙ **დამთავრდა** ყარადაღ-თბილისის გაზსადენის მშენებლობა. 6 ნოემბერს თბილისში საზეიმოდ აინთო ბუნებრივი გაზის ჩირაღდანი.

⊙ **ორი** წლის დაძაბული მუშაობის შედეგად **ნოემბერში** მწყობრში ჩადგა მეცნიერული კვლევის უმძლავრესი ლაბორატორია — ატომური რეაქტორი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი შეუდგა ფართო კვლევითს მუშაობას.

* * *

⊙ **1960** წლის 13 იანვარს გამოქვეყნდა დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი — დაიწყო მზადება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისათვის!

დიადი თაოსნობა

კომუნისტური შრომის ბრიგადები

კომუნიზმის მშენებელი გმირი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ყოველი დღე არის მჩქეფარე, შემოქმედებითი შრომითა და ღირსშესანიშნავი მოვლენებით აღსავსე, როგორც დღეები შეადგენენ წელიწადს, ისე ეს მოვლენები შეადგენენ ჩვენი ხალხის გმირული შრომის მატიანეს.

ამ ძვირფას მატიანეში ბევრი ძვირფასი ფურცელი ჩაწერეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის საანგარიშო პერიოდში. აი ისინიც:

★ ★

კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობა, რომელიც შრომისადმი დამოკიდებულების თვისებრივად ახალი ფორმაა, დაიბადა მოსკოვის მახარისხებელი სადგურის დეპოს კოლექტივში. მოსკოველებს ღირსეული მიმდევრები გაუჩნდნენ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში — გურამ ჩადუნელის ამწყობი-ზეინკლების ბრიგადის წევრები. ქართველმა ელმავალმშენებლებმა მოსკოველები შეჯიბრებაში გამოიწვიეს. მათი მაგალითით ერთმანეთთან კომუნისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროს ო. ლორიას და ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის № 20 შახტის ო. დედულის ცვლები, მთავართბილისმშენის მე-9 სამშენებლო სამმართველოს გ. ეღიკაშვილის და მოსმშენის № 1 ტრესტის მე-6 სამშენებლო სამმართველოს პ. სმირნოვის ბრიგადები.

ვ. გაგანოვას მაგალითით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გახდა ცნობილი ვიშნი ვოლოჩეკის ბამბეულის კომბინატის სართავი ფაბრიკის ბრიგადირის ვ. გაგანოვას სახელი. იგი თავისი სურვილით მოწინავედან ჩამორჩენილ ბრიგადაში გადავიდა, რომ იგი მოწინავეთა დონემდე წამოეწია. ამ თაოსნობას პირველმა დაუჭირა მხარი გორის ბამბეულის კომბინატის ბრიგადირმა ელენე გეგელაშვილმა. მალე ვ. გაგანოვას პატრიოტულმა თაოსნობამ ნამდვილად მასობრივი ხასიათი მიიღო ჩვენს რესპუბლიკაში. მარტო ჭიათურაში მაღარო „ახალ ითხვისში“ სამუშაოდ გადავიდა სამასი მაღაროელი. ამან თავისი შედეგი გამოიღო. ახლა ამ მაღაროს კოლექტივი წარმატებით ასრულებს მარგანეცის მოპოვების დავალებებს.

გიტალოველები, მანუკოვსკელები

საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი, რომელმაც შეიმუშავა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის რეზერვების უფრო სრულად გამოყენების ღონისძიებანი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პლენუმის გადაწყვეტილებანი მიიღეს როგორც კონკრეტული საბრძოლო პროგრამა და მწყურვალივით დაეწაფნენ იმ ძვირფას წამოწყებებს, რომელთა ინიციატორები მოძმე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკები არიან.

ცნობილი მექანიზატორების ალექსანდრე გიტალოვის და ნიკოლოზ მანუკოვსკის ქართველმა მიმდევრებმა წიოელწყაროელმა მექანიზატორებმა გიორგი დოლიძემ და გიორგი თინაშვილმა იკისრეს მინიმუმამდე დაიყვანონ მუშახელის გამოყენება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შრომატევად სამუშაოებში.

ქართველი ჩიჭი

ჩვენი გაზეთის საშუალებით მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დამყარდა სახელგანთქმულ უკრაინელ მეიორე იაროსლავ ჩიესა და ქართველ დავით სეფიაშვილს ჭორის. სეფიაშვილი ამას წინათ იყო ჩიჭთან, გაეცნო მი ი მუშაობის მეთოდებს და იკისრა წელს გაასუქოს 1.000 ღორი და ჩაბაროს 1.000 ცენტნერი ხორცი.

რიაზანი — თეთრი წყაროკალინოვკა — ბოლნისი

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან რიაზანელები და თეთრწყაროელები, კალინოვკელები და ბოლნისელები.

ამ დიად წამოწყებებს შესანიშნავი ნაყოფი მოაქვს — ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად წარმატებით ასრულებენ შვიდწლიანი გეგმით დასახულ ამოცანებს.

ზოთა კუბლაშვილმა თავდადებული შრომით სახელი გაითქვა. ხალხის პატივისცემა დაიმსახურა. პარტიამ და ხალხმა მისი კეთილსინდისიერი შრომა ღირსეულად დააფასა. ტყიბულის რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ ნოვატორი მეშახტე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. კუბლაშვილი საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის დელეგატად აირჩია.

3. ი. ლენინს მოველოდით საქართველოში

მოგონება

გვიყო დასასვენებელ სახლად აქტივისათვის. ეს სახლი მაინცდამაინც დიდი არ იყო, ხოლო ჩვენ მიერ გაკეთებული რემონტის შემდეგ კეთილმოწყობილი იყო. ოთახები ძალიან სადა იყო მორთული. აგარაკის გარშემო, იყო ფიჭვნარი, მოჩხრეალი მდინარე, აუზი და ციცი წყაროს წყალი.

ეს აგარაკი ძალიან მოეწონა ამხ. სერგო ორჯონიკიძეს. ჩვენს კითხვაზე, თუ ვისთვის იყო იგი განკუთვნილი, ამხ. სერგომ გვითხრა: ის, ვინც თავიანი მკურნალობს. შემდეგ აქ დასასვენებლად ჩამოსვლას ამირებს, ყველა ჩვენგანისათვის საყვარელი ადამიანია, მისი ჯანმრთელობა ყველასათვის ძვირფასია და მისი გაჯანსაღებისათვის ყველანი სიხარულით ვიზრუნებთო.

თუმცა ამხ. სერგომ პირდაპირ არ გვითხრა, ვისი დასვენება იყო ნავარაუდევი, მაგრამ ჩვენ მივხვდით, ვინც ავადმყოფობს. და ეხლა გამოოქმული სიხარულით მზად ვიყავით ყველა პირობა შეგვექმნა მშობლიური ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დასვენებისათვის. შემდეგ ბორჯომ-ლიკანში ჩამოვედით, დავათვალიერეთ ლიკანის სანატორიუმი, მისი პარკი და მეურნეობა. ამხ. სერგოს ლიკანის სანატორიუმიც მოეწონა, მაგრამ აბასთუმანი ამჯობინა.

ამხ. სერგომ გვითხრა, რომ ჩვენ აზრს შეატყობინებდა მოსკოვში რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

მალე ჩამოვიდა ვ. ი. ლენინის მკურნალი ექიმი, ხელო შემდეგ 1922 წლის ივნისის დამდეგს ჩამოვიდა რსფსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ამხ. ნ. ა. სემაშკო, რათა დაეთვალიერებინა საქართველოს კურორტები.

კურორტი აბასთუმანი ამხ. სემაშკოს თუმცა მოეწონა, მაგრამ ამჯობინა ბორჯომ-ლიკანი, რომელიც უფრო კეთილმოწყობილი იყო, ჰქონდა პარკის შესანიშნავი მეურნეობა, სადაც ყველა შესაძლებლობა იყო დამზადებულისათვის საკვებისა პირობების შესაქმნელად. ამხ. სემაშკომ მთხოვა გამეკეთებინა მცირე დამატებითი რემონტი და მომემზადებინა ლიკანის სასახლე და აგარაკი ფრიად პასუხისმგებელი მუშაკის მისაღებად. მასაც არ დაუსახელებია, ვინ იყო ეს პიროვნება, მაგრამ ჩვენ ეხვიებოდით, ვისთვის იყო ეს გათვალისწინებული. უნდა ითქვას, რომ იმ დროს ნ. ა. სემაშკო ხელმძღვანელობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მკურნალობას. ამ შენიშვნების შემდეგ მთელი ჩვენი მეცადინეობა იმისაკენ იყო მიმართული, რომ წესრიგში მოგვეყვანა ორივე ეს აგარაკი.

როგორც ახლა უკვე ცნობილია ორივე ეს აგარაკი კურორტებზე აბასთუმანსა და ბორჯომში განკუთვნილი იყო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისათვის.

ვლადიმერ ილიას-ძემ აირჩია კურორტი ბორჯომი.

აი რას სწერდა ვ. ი. ლენინი ამხ. ს. ორჯონიკიძეს:

„ამხ. სერგო! გიგზავნით კიდევ რამდენიმე პატარა ცნობას. ისინი დადმოცა ექიმმა, რომელიც თვითონ იყო ადგილზე და სრული ნდობის ღირსია... ბორჯომი ძალიან კარგია, ვინაიდან იქ გასასეირნებელი ადგილია, ეს კი აუცილებლად საჭიროა.

გარდა ამისა, ბორჯომი შესაფერი სიმაღლეა, აბასთუმანი კი მეტისმეტად მაღალია, 1.000 მეტრზე მეტი. არ შეიძლება. ჩვენი ექიმი განსაკუთრებით გვაფრთხილებს, ადრე არ წამოვიდე, სიცივე და წვიმები იქნება, განსაკუთრებით შუა ივნისამდეო. ამ მხრივ მე იმდენად არ მეშინია, თუ სახურავში წვიმა არ ჩამოდის და თუ სახლს ათბობენ, ვინაიდან ასეთ პირობებში სიცივე და წვიმები საშიში არ არის“.

თუმცა ორივე აგარაკი აბასთუმანსა და ბორჯომში მომზადებული იყო ჩვენთვის ძვირფასი და მშობლიური ლენინის მისაღებად, მაგრამ ვლადიმერ ილიას-ძემ ჩამოსვლა ვერ შეძლო ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო, და ჩვენ ყველანი დიდად შეწუხებული ვიყავით, რომ ვერ შევძელით ხელი შეგვიწყო მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის ჩვენს შესანიშნავ კურორტებზე.

დიდება შენდა!

კომუნისტურო პარტიავ ჩვენო,
დიდი ლენინის აზრით შობილო;
ხალხის პირმშოვ და ხალხივით ბრძენო,
ბრძოლების ცეცხლში
გამოწრთობილო.

ყოველი შენი ყრილობა არის
მაუწყებელი ზრდის, ძლიერების;
შენი წესდების ყოველი ბწკარი
პიმნია ჩვენი ბედნიერების.

გზურს კომკავშირიც გმირობით
გგავდეს —
შენი რიგების მტკიცე შემცველი
და კომუნისტურ შრომის ბრიგადებს
ეახ მშობლიური ზრუნვით შესცქერი!

ხარ ომის მტერი, ამკვიდრებ
შრომას,
თავისუფლების ხარ ალამდარი;
ვეღარ დასძლიოს მშვიდობა ომმა,
წინ მიგვიძღვები ხალხთა სარდალი.

დიდება შენდა პარტიავ ჩვენო,
ოქტომბრის დროშით განაღებულო,
ხალხის პირმშოვ და ხალხივით
ბრძენო,
ხალხთა იმედად დაბადებულო!..

კალე გოგოხიძე.

მრეწველობის ერთი წელი

შვიდწლედი ეს არის დაიწყო, ნაყოფს კი უკვე ვიმკით. შარშან ჩვენმა სამშობლომ დიდი მიღწევები მოიპოვა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში. აშენდა ახალი ქარხნები, ფაბრიკები, გამოშვებულია ათობით დასახელების ახალი პროდუქცია. ქვემოთ მოგითხრობთ ზოგიერთი იმ პროდუქციის შესახებ, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა შვიდწლედის პირველ წელს აითვისეს და გამოუშვეს.

ელექტროვიბრომანქანები

ასეთი მანქანების პირველი ნიმუშები ლენინგრადისა და ვორონეჟის ქარხნებში დამზადდეს. მათმა წარმოებამ მასობრივი ხასიათი მიიღო შვიდწლედის პირველ წელს.

შარშან სტალინირში საექსპლოატაციოდ გადაეცა ელექტროვიბრომანქანების ქარხანა. ეს მაღალი წარმადობის ახალი ჩარხებით, მექანიზმებით, მოწყობილობით აღჭურვილი საწარმოა. სტალინირელებმა წარმატებით გაართვეს თავი სიძნელეებს და უკვე ათობით ელექტროვიბრომანქანა გამოუშვეს.

ქარხანასთან შექმნილია საკონსტრუქტორო ბიურო, რომელიც ელექტროვიბრომანქანების კონსტრუქციების გაუმჯობესებაზე მუშაობს.

მემანქანის კონტროლიორი

ეს ხელსაწყო ოოკომოტივების სიჩქარისმზომია, რომელსაც თბილისის ხელსაწყოს ქარხანა უშვებს. სიჩქარისმზომი მთელ რეისზე ზუსტად აღნუსხავს დროს, სიჩქარეს, მანძილს, წნევას, მოძრაობის მიმართულებას, ამიტომაც შეარქვეს მას მემანქანის კონტროლიორი.

ლოკომოტივების სიჩქარისმზომები თბილისის მარკით ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ პოლონეთშიც, უნგრეთშიც, ჩეხოსლოვაკიაშიც, რუმინეთშიც...

ახალი ქარხნის კოლექტივის წინაშე შესანიშნავი პერსპექტივებია. 1965 წლისათვის აქ ორასჯერ მეტ ხელსაწყოს გამოუშვებენ, ვიდრე შარშან.

სართულები მაღლდება

დღეს საოთეენაც უნდა გაიხედოთ, ხარაჩოებს დაინახავთ. სართულები მაღლდება, კოშკური ამწეები წეროებივით აწოწოლებულან, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, ამწესაც აქვს გული. ეს ელექტროძრავაა.

ამწის კორპუსი ლითონის კონსტრუქციას წარმოადგენს. იგი დიდხანს იმუშავებს, თუ ელექტრომავა მწყობრიდან არ გამოვიდა. ძრავა 172 დატალისაგან შედგება და გაცილებით სუსტი და ფაქიზია, ვიდრე ამწის კორპუსი. ასეთ ძრავებს ამზადებენ თბილისის ელექტროძრავების ქარხანა. შარშან მაისიდან აქ შეუდგნენ ეგრეთწოდებული მეზუთე გაბარტის ძრავების გამოშვებას, რომლებიც ამწეების მშენებელ საწარმოებს გაგზავნეს თბილისს ელექტროძრავების ქარხანა მთლიანად დაკმაყოფილებს რესპუბლიკის მოთხოვნილებას ამწის ძრავებზე.

დიასახლისის მარჯვენა ხელი

ოჯახში საქმეს რა გამოლევსო, ამბობს ხალხი. დიასახლისი მთელ დღეს ციბრუტივით ტრიალებს. ალაგებს, რეცხავს, აუთოებს. საჭმელს ამზადებს. კონსტრუქტორებმა, მუშებმა ხელი შეაშველეს დიასახლისს ამ მომქანცველ შრომაში — შექმნეს სარეცხი მანქანა.

გასულ წელს ამ მანქანების გამოშვება დაიწყო ბათუმის ელექტროტექნიკურმა ქარხანამ. დიასახლისები კმაყოფილ არიან, სარეცხი მანქანები ჩვენი მარჯვენა ხელიაო. წელს ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხნის კოლექტივი გაცილებით მეტ სარეცხ მანქანას გამოუშვებს.

ეს ერთი და სხვა ათასი

შარშან ბევრ პროდუქციაზე აღინიშნა მათი შემქმნელი საწარმოს ახალი მარკა. ეს არის თბილისური მიკროძრავები. იზოლატორები, ქსოვილები, ბათუმური ავტოტრანსფორმატორები, ზესტაფონური კაბელი, შორაპნული ბატარეები...

მომხმარებელი კმაყოფილებით იღებს ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში დამზადებულ ახალ პროდუქციას და მარჯვენას ულოცავს მის შემქმნელებს:

— ეს ერთი და სხვა ათასი!

ორომა და ნაცვრის თვალი

დღესაც გაახარა სამუშაოდან დაბრუნებული პავლე მუხიგულაშვილი რუსიკომ, ჯერ დღიურში ჩამწკრივებული „ხუთიანები“ აჩვენა, მუსიკალური სკოლის ამბები მოუთხრო, მერე კი გვერდით მოუჯდა ჭაღარა მამას, ყელზე ხელი შემოაჭდო — რამე მიამბეო.

— ნეტავ რა უნდა მოვუყვე ამ კედრაკას, — გაიფიქრა მან, — თხუთმეტი წლის გოგოა, ახლა ზღაპარს ხომ არ ვუამბობ.

თითქოს მიუხვდაო მამის ნაფიქრალს, თუგინდ ზღაპარიც იყოს, მერე რა უჭირსო — უთხრა რუსიკომ.

პავლე ცოტა დაფიქრდა, პაპიროსს მოუკიდა და დაიწყო:

ერთ პატარა სოფელში ღარიბი გლეხი ცხოვრობდა ჯალაბით. ოჯახის თავს, მიხეილს არც ნატვრის თვალი ჰქონია, არც მფრინავი ხალიჩა, შრომობდა, წელებზე ფეხს იდგამდა, მაინც უჭირდა ცოლ-შვილის რჩენა. მის ოჯახს ვაჟი შეემატა, ისიც სიღარიბეში იზრდებოდა. სულ პატარა იყო, მამას მხარში რომ ამოუდგა, ეხმარებოდა ჭაპნის წევაში.

მაგრამ ვერაფერს ხდებოდნენ — სიღარიბეს მკვიდრად მოეკიდა ფეხი...

ეს იყო ძველად. ის ძველი ცხოვრება ოქტომბრის ცეცხლში ჩაიწვა. ადამიანებმა ახლებურად შეხედეს ქვეყანას. ის პატარა ბიჭიც გამოიცვალა. სწავლაზე დაიწყო ოცნება, — სახელოვანი კაცი უნდა გავხდეო. ავჭალაში, მტკვართან, ტრიალ მინდორზე ელადგურს აგებდნენ — „ზაპესს“. ამ მშენებლობას ეწვია, მერე რკინიგზის ლიანდაგის შემკეთებლად მუშაობდა. ჯარშიც გაიწვიეს. მამაცად იდგა მშრომელების მონაპოვარის სადარაჯოზე.

არმიიდან რომ დაბრუნდა, ღრმაღელში ქარხნები სოკოებივით ზედიზედ მრავლდებოდა. ის იყო ავტოშემკეთებელი ქარხნის მშენებლობა დაიწყო. თვითეული აგურის დადებაში მონაწილეობდა. ყოველი ხე მის თვალწინ იზრდებოდა. მის თვალწინ აშენდა საამქროთა კორპუსები, დამონტაჟდა მანქანა-დანადგარები. კალატოზი იყო საპირო? კალატოზობდა, ღურგალი დააკლდებოდათ? — ღურგლობდა. თითქმის ყველა ხელობა იცოდა. პირველი შეკეთებული ავტომანქანაც მისმა მარჯვენამ ააწყო.

გოგონას ეშმაკურად გაეღიმა, მაგრამ სიტყვა არ შეუწყვეტინებია.

ჰო, სწრაფად გაიქროლეს წლებმა, თმაც გაუჭაღარავდა, მაგრამ გული, გული კვლავ ახალგაზრდული აქვს. წინანდებური ენერგიით მუშაობს, ახალგაზრდებისაგან შემდგარ ბრიგადას ხელმძღვანელობს...

ყვებოდა პავლე, და მის წინაშე ცოცხლად ისახებოდნენ ძველი და ახალი სურათები.

დგანსაყრდენებზე დაშლილი ავტობუსები. ზოგი ძალზე შორი გზიდან არის მოსული — ბაკოდან, ერევნიდან. ბევრი რამ აქვთ შესაკეთებელი — ძრავა, წინა და უკანა ხიდები, კაბინა, სახურავი... ავტოშემკეთებლები თავს დასტრიალებენ, ისმის ჩაქუჩების გამუდმებული კაკუნი. ავტობუსის ქვეშ ორი ახალგაზრდა მოკალთებულა, ეს ელეჭა ქავთარაძე და რეზო ყაბანაშვილია. მონდომებით არემონტებენ წინა და უკანა ხიდებს, ავთანდილ ცხვარაშვილი ავტობუსის

სურათზე: საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დელეგატთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): კ. ნადირაძე, ნ. გამთენაძე (ჭიათურა), გ. კა-[illegible]ს (ბათუმი), ი. ლაბაძე (ხაშური), ე. მამულაშვილი (ყვარელი), ს. კიკნაძე (თელავი), ო. აიგასაშვილი (ახმეტა), ი. ხარლამოვა (სოხუმი), მ. ქანთარია [illegible]ამჩირე), ი. ორჯონიკიძე (ტყიბული), თ. ტყემაშაბა (ცხაკაია), შ. შუბითიძე (რუსთავი), თ. უუფუნია (ზუგდიდი).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

განსაცვიფრებელი შედეგები

საბჭოთა ადამიანები ღრმა კმაყოფილებით აღნიშნავენ უფრო მძლავრი საბჭოთა ბალისტიკური მრავალსაფეხურიანი რაკეტის გამოცდის წარმატებას. რაკეტა განკუთვნილია დედამიწის მძიმე ხელოვნური თანამგზავრების გასაშვებად და ამის სისტემის პლანეტებისაკენ ფრენის განსახორციელებლად. მთელი მსოფლიო კვლავ განცვიფრებულია საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შესანიშნავი წარმატებებით და აღფრთოვანებულია ყოველისა საფრენი ჭურვის ჭეშმარიტად სნაიპერული სიზუსტით: რაკეტამ დედამიწის ზედაპირზე 12,5 ათასი კილომეტრი მანძილი გადალახა და დასახული მიზნისაგან [illegible]ეადახარა ორ კილომეტრზე ნაკლები მანძილით!

ეს განსაცვიფრებელი შედეგებია. ისინი მოწმობენ არა მარტო მათემატიკურ გაანგარიშებათა მაღალ სიზუსტეს, არამედ იმასაც, რომ შეუფერხებლად, უნაკლოდ მუშაობდა ყველა მექანიზმი და განსაკუთრებით მართვის სისტემა, რომელიც მის ფრენას წარმართავდა. ეს კი ჩვენი მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების ნაყოფიერი საქმიანობის საუკეთესო ატესტაციაა, იმ ფართო შესაძლებლობათა საუკეთესო დადასტურებაა, რომლებიც ჩვენი მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, ქიმიური მრეწველობისა და მრეწველობის სხვა დარგების განკარგულებაშია. ეს უდიდესი გამარჯვება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ჩვენი მეცნიერება უზუსტეს ექსპერიმენტთან ღრმა თეორიული კვლევის ჰარმონიული შეხამების სწორი გზით მიდიან.

ახალი ბალისტიკური რაკეტის წარმატებით გამოცდა მოწმობს, რომ საბჭოთა მეცნიერები ახლა თავის განკარგულებაში იღებენ სამყაროს უსასრულო სიღრმეთა გამოკვლევის კიდევ უფრო მძლავრ საშუალებას.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი გამარჯვება ერთხელ კიდევ ადასტურებს სოციალისტური წყობილების უპირატესობას, ჩვენი მეცნიერების, ინჟინრებისა და მუშების უმაგალითო ენთუზიაზმს.

აკადემიკოსი **ნ. მუსხელიშვილი.**

ქალიშვილი ჩაის კლანტაციებიდან

ნონა გურეშიძემ [illegible]ერ კიდევ შარშანწინ [illegible]ალაპარაკა სამშობლო [illegible]ოფელი გუმბრი, მი[illegible]ენილ ნახევარ ჰექტარ [illegible]ართობზე 5 ათასი კი[illegible]ოგრამი ხარისხოვანი [illegible]აის ფოთოლი რომ მოკრიფა.

— შეხედეთ, რა შესძლებია ამ [illegible]ოგონას, ნამდვილად გვასახე[illegible]ა! — ამბობდნენ სტალინის სა[illegible]ელობის კოლმეურნეობაში.

და როცა შვიდწლედის პირველი წელი დადგა, ნონამ გადაწყვიტა რესპუბლიკის სახელმოხვეული მეჩაიეთა რიგებში ჩამდგარიყო, იკისრა ვალდებულება, — ეზონში მოეკრიფა 5.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ხელმარჯვე ქალიშვილი ვაჟკაცური შემართებით მუშაობდა ვალდებულების შესასრულებლად, [illegible]ამავე დროს მეგობრულად ეხმარებოდა ახალბედა მეჩაიეებს.

კრეფა უკვე დაწყებული იყო, როცა ნონას შრომითი მამაცობის [illegible]ამბავი მთელ რაიონს მოედო. 20 [illegible]აისისათვის მოკრეფილი ჰქონდა 1.341 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. მარტო ერთ დღეს, 20 [illegible]აისს, ნონამ 113 კილოგრამი ნედლეული მოკრიფა. ყოფილა ისეთი დღეც, როცა 150 კილოგრამი ფოთოლი მოუკრეფია. ასეთი მაღალი მაჩვენებლისათვის რაიონში არავის მიუღწევია.

კრეფის სეზონი სანახევროდაც არ იყო დამთავრებული, რომ ნონას ანგარიშზე 4.200 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩაიწერა.

მერე კი... ავადმყოფობამ მოუსწრო და დროებით ჩამოაშორა გამარჯვ ქალიშვილი ჩაის მწვანე ბუჩქებს. როცა ნონა საბოლოოდ გამოჯანსაღდა, კრეფის სეზონი უკვე მიწურული იყო.

— შვიდი ათასი კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფას ვაპირებდი, მაგრამ ავად გავხდი, — გულისტკივილით ამბობდა ნონა.

მის ნაკვეთზე უხვად მოდიოდა ფოთოლი. ნაკვეთში სამუშაოდ გავიდნენ ნონას მეგობრები გოგონა ზვიადაძე და ვენერა ფანცხავა და 1.350 კილოგრამი ჩაი მოკრიფეს მეგობრის ნაკვეთზე.

შემოდგომა დადგა. ნონამ რაიონში ყველაზე ადრე და მაღალხარისხოვნად დაამთავრა ნიადაგის მწკრივთა შორის გადაბარვა, ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქის შეტანა. წესრიგში მოიყვანა სადრენაჟო არხები. ახლა მისი პლანტაცია ხელისგულივით სუფთაა. მაგრამ ნონა ამასაც არ სჯერობის წევრი ანეტა ხურციძე, რომელმაც გასულ წელს ნახევარ ჰექტარ ფართობზე 5.103 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

სეზონში 7.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — აი რისთვის იბრძვის ახლა წყალტუბოს რაიონის ორი სახელოვანი მეჩაიე.

შ. ჯავახაძე.

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

• • •

სურათზე: ნონა გურეშიძე.

მშობლიურ პარტიას

ბრწყინავს მშვენება მთის და
მდელოსი,
ვით ცისარტყელის შვიდი არშია,
სადაც გახედავთ საქართველოში,
გაზაფხულია იანვარშიაც.

აქ მომავლისკენ სწრაფვა ერთი აქვთ
ველზე გასულებს თუ მდგართ
ბრძმედებთან,
აქ თანაბარი ტრფობით ეტრფიან
მართალი კაცის შემოქმედებას.

ლაღობს თბილისი — მწვანე ბაღნარი,
კელაპტრებივით ზენი აწვდილან
თავზე დაჰხარის გუნდი მტრედების
და დგას მშვიდობის ძეგლად
მთაწმინდა.

შრომა ჰკურნავსო ყველა იარას,
დე სულ იდინონ შრომის ზვირთებმა,
ტყვიამ კი არა, ბომბმა კი არა,
შრომამ დაიცვას შრომის დიდება.

ჩემი სამშობლოს მზეო ნათელო,
შენი მშვენება რა წარმტაცია,
დიდება იმას, ვინც საქართველო
ვარდების ერთ დიდ კონად აქცია.

ვინც შეუერთა მარადისობას
ქართველი კაცის გული მდელვარე,
ვინაც მთვარემდის ელვა ისროლა
და გვაახლოებს ალიმპიურ
მწვერვალებს.

ვახტანგ გორგანელი.

ლაჯანურის შუქი

ლაჯანური. (საკ. კორ.). ლაჯანურჰესის მშენებლებმა ძვირფასი შრომითი საჩუქარი მიუძღვნეს საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობას. 24 იანვარს საგენერატორო სადგურმა, რომელიც ალპახის კლდის გულზეა გამოკვეთილი, მიიღო მთის მდინარეების ცხენისწყლისა და ლაჯანურის წყლის მძლავრი დარტყმა. დაიწყო აგრეგატის გამოცდა.

უკვე დამთავრდა ერთ-ერთი ჰიდროაგრეგატის მომზადება გაშრობისათვის. მემონტაჟეები დეტალურად ამოწმებენ მის ცალკეულ ნაწილებს, არეგულირებენ ხელსაწყოებს. ეს აგრეგატი უახლოეს დღეებში ამუშავდება. ჩქარი ტემპით ამონტაჟებენ კიდევ ერთ ჰიდროაგრეგატს. ჰიდროშენებლებმა საგენერატორო სადგურის შენობაში უკვე შეიტანეს და დადგეს ამ აგრეგატის უზარმაზარი ნაწილი — როტორი.

მემონტაჟეებმა მეტად რთულ რელიეფურ პირობებში გაიყვანეს და საექსპლოატაციოდ მოამზადეს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი ლაჯანური — რიონი.

ელექტროსადგურთან ერთად, მაღალ მთებში, უკაცრიელ ადგილას გაშენდა ენერგეტიკოსთა შესანიშნავი დაბა. აქ აგებულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, კლუბი, საზაფხულო კინოთეატრი, საავადმყოფო, სასადილო, მაღაზიები, საბავშვო ბაღი, საბავშვო ბაგა, ამბანო და სხვ.

კომუნიზმის შუქურვარსკვლავები

ჩვენ ერთად ვისვენებდით წყალტუბოში...

ურალელ ინჟინერს **ლეონიდ სომოვს,** რომელსაც შემოვლილი ჰქონდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე, და კარგად იცნობდა საქართველოს ყოფაცხოვრებას, მის კულტურას, ლიტერატურასა და ხელოვნებას, უბის წიგნაკში ბევრი შესანიშნავი შთაბეჭდილება ჩაეწერა. ერთ-ერთი მათგანი ასე იწყებოდა:

„ვისაც ერთხელ მაინც არ უნახავს არაგვის სათავე — ათას ანკარა წყაროს კავკასიონის გრანიტოვანი გულმკერდი რომ გაუპია და ჩახჩქეროვად გადმოფრქვეულა ხეობაში, ვინც ალეიონზე არ შეხვედრია ამ არაგვიანი მდინარის პირველ ანკარა ტალღებს და არ დასწაფებია მას, არ მოუსმენია, როგორ მღერის არაგვი და „მთანი ბანს ეუბნებიან“; ვისაც ერთხელ მაინც არ უნახავს ნაირფერად მოხატული ალაზნის ველი — ცალეკეული და მიწა-ბარაქიანი, ვინც შუამთაში არ შეყრია ცისკრის ვარსკვლავს, არ დამტკბარა ამომავალი მზის ბრწყინვალებით — ჯერ კავკასიონს რომ ააწითლებს და შემდეგ ბარად მიმოაბნევს სიცოცხლის სხივებს; ვისაც ფეხით არ შემოუვლია საქართველოს ზღვისპირეთი — ცა რომ ლურჯია, ზღვა რომ ლურჯია და გეგმატიკეები ნარინჯ-თურინჯი, გულმკერდოხატული მაღლიანი მიწა; ვისაც ერთხელ მაინც არ უნახავს მესხეთ-ჯავახეთი, საქართველოს ისტორიის ეს უნიკალური მუზეუმი და ახალი მჩქეფარე ცხოვრების მომდერალი; ვისაც არ გასთვნია მამისონთან, თოკიევით არ აუკეცია ხეობებისაკენ მიმავალი გზა, არ უსაუბრია რაჭა-ლეჩხუმის მთაგრეხილებთან, — ვერა, ვერ იტყვის მარადმზიანი საქართველო მინახავსო...

ასეა ყველგან — მყინვართან გინდა თუ უშბასთან, ლიახვის სანაპიროებზე თუ ენგურის ხეობაში, გურიის მარადმწვანე სერებზე თუ რიონის დაბლობში, შავი ყვირილას შემოგარენსა თუ ქართლის ბარაქიან ველებზე — ყველგან ხიბლავს ადამიანს „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზეშმუხტი“ საქართველო!..

ყოველთვის ასე მომხიბვლელი იყო საქართველოს ბუნება... განა ადრე კლდეთ არ ეშვებოდა არაგვი — არაგვიანი?! ასე ამაყად არ ფლეთდნენ ღრუბელთა ქარავანს მყინვარწვერი და უშბა, საქართველოს მუდამ არ დანათოდა ლურჯი ცა და მარადმწვანე ნაპირებს არ ულოკავდა უფრო ლურჯი შავი ზღვა?!

დიახ, ყოველთვის ასე იყო... მაგრამ არ იყო მთავარი, რაც ყველაზე ლამაზია და ყველაფერზე ძვირფასი. ხეობებსა და ველ-მინდვრებში, მთებსა და მდინარეთა ნაპირებზე, ზღვის მონარნარე ტალღებთან ადრე არ ისმოდა თავისუფალი ადამიანის სიმღერა სიცოცხლესა და სიხარულზე, ლაღად არ ჩქეფდა მგზნებარე შემოქმედებითი შრომა!..“

ცამდე მართალია ამხანაგი ლეონიდ სომოვი!.. მართლაც, რა ფასი ექნებოდა არაგვის ხეობის სილამაზეს, თუ მის არემარეში ცისმარე დღეს არ იმღერებდა ბუნებასავით ლაღი და თავისუფალი მწყემსის ხმატკბილი სალამური. რა ფასი ექნებოდა მტკვრისა და რიონის ხეობას, რომ მათი მჩქეფარე ტალღები სანათლად არ ექცეოთ დიადი მომავლის მშენებელ ადამიანებს და შუქურვარსკვლავები დედამიწაზე ასე უხვად არ მოებნიათ! რა ფასი ექნებოდა საქართველოს ზღვისპირეთს, რომ შრომისმოყვარე საბჭოთა ხალხს ასე ლამაზად არ მოეხატა იგი, რომ ამ წალკოტში მარადჟამს მშრომელი ხალხი არ ნებივრობდეს, არ ისვენებდეს, არ იკაეებდეს შემოქმედებითი შრომით დაღლილ ორგანიზმს, ამ საარაყო წალკოტოვანში არ იწრთობოდეს, არ კაედებოდეს ხალხთა ურღვევი მეგობრობა — საბჭოთა ადამიანების უბრწყინვალესი მონაპოვარი.

სწორედ ამისათვის... რომ ეს სილამაზე, სიმშვენიერე, სიუხვე ყოფილიყო მშრომელი ადამიანის კუთვნილება, იბრძოდა გმირულად ქართველი ხალხი. ამიტომ დაუკავშირა მან თავისი ბედი მოძმე რუსეთს, ამიტომ ყღერდა ასე სათუთად დიდი ქართველი რევოლუციონერის დაუვიწყარი დეპეშა 1921 წელს:

„მოსკოვი, კრემლი, ვ. ი. ლენინს, ი. ბ. სტალინს! თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა — გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! სერგო ორჯონიკიძე“.

ეს იყო მთელი საქართველოს, განთავისუფლებული ქართველი ხალხის გულწრფელი მისალმება ლენინისადმი, კომუნისტური პარტიისადმი.

„ვინ იფიქრებდა, რომ ამოდენა
გრანდიოზული საქმე გველოდა.
ასეა ტემპი, ასეა დენა
რევოლუციურ საქართველოდან“.

ასე მღეროდა მაშინ გალაკტიონის ჩანგი, ასე ფიქრობდა და იღვწოდა საქართველოს ყველა მშრომელი.

ყველაფერი საბჭოთა ადამიანისათვის, მისი ბედნიერი ცხოვრებისათვის!.. — ასეთია კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის ძირითადი მიზანი და ამოცანა.

თავიდანვე იბრძოდა ამისათვის დიდი ლენინის მიერ შექმნილი ჩვენი პარტია, ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება...

ლენინის მიერ ნაჩვენებ ამ დიად გზაზე კვლავ მტკიცედ მიაბიჯებს ჩვენი ქვეყანა, უფრო მძლავრად უტევს კომუნიზმის მშენებლობის ახალ-ახალ ზღუდეებს, მისი მესაჭეა ბრძენი კომუნისტური პარტია.

სადაც არ უნდა მიხვიდეთ ამჟამად — ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში თუ საკოლმეურნეო მინდვრებზე, შახტებსა თუ მაღაროებში, სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო დაწესებულებაში, ყველგან მგზნებარე შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული, ყველას ფიქრი და გრძნობები მიპყრობილია საქართველოს კომპარტიის XX ყრილობისადმი, დღეს რომ იხსნება საქართველოს დედაქალაქში — თბილისში.

ახლა საქართველოში მშრომელი ადამიანებისათვის არა მარტო მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები გგაქვს, არა მარტო ვამაყობთ იმით, რომ ელექტროფიცირებულია საწარმოები და რკინიგზები, ქალაქებსა და სოფლებში, მათს ქუჩებსა და ბაღებში, ბიხებსა და მოედნებზე ელჩრის ნათურები კაშკაშებენ, არამედ იმითაც, რომ დედაქალაქის უბე-ყუერში მწყობრში ჩადგა მძლავრი ატომური რეაქტორი — მეცნიერული კვლევის ეს ბუმბერაზი ლაბორატორია.

ახლა მარტო იმას, როდი ვითვლით, სად ამოვაშრეთ ჭაობი, სად მოვსპეთ მალარიის ბუდე, არამედ იმასაც, სად გაგიყვანეთ ახალი არხი, მსგავსი სამგორისა და ტაშისკარისა, და საუკუნეების მანძილზე წყალმოწყურებულ ველებში სიცოცხლე დავამკვიდრეთ.

ახლა მშრომელი ადამიანებისათვის არა მარტო ცალკეული ბინები შენდება, არამედ მთელი უბნები, ქალაქები, დაბები... საკმარისია ითქვას, რომ მარტო შარშან თბილისის მშრომელებმა მიიღეს 121 ათასი კვადრატული მეტრი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინა.

არა მარტო საქართველოში, ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის გარეთაც ფართოდ არის ცნობილი ქართული ატომობანელი, ქართული დაზგები, ქსოვილები, ქართული ჩაი, ღვინო... ჩვენი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მეშაჯთა ნაწარმოებებს ახლა თავის ენაზე კითხულობს მსოფლიოს მრავალი ხალხი.

ვისაც ორი წლის წინათ უნახავს თბილისი, ახლა ვერ იცნობს მას. რამდენი ახალი მაგისტრალი იქნა გაყვანილი, რამდენი ახალი საცხოვრებელი სახლი აშენდა და კიდევ რამდენი შენდება დედაქალაქის მშრომელებისათვის.

ჭაღარა, მაგრამ მარად ახალგაზრდა თბილისი საქართველოს გულია. მისი მგზნებარე სიმები მტკიცედ ჩაგვრისტებულია მოძმე რესპუბლიკების მარად მჩქეფარე გულებთან... ეს სიმები უწყვეტ ძაფებად გაბმულია კრემლის შუქურვარსკვლავებთან, საიდანაც მძლეთამძლე ჩვენი ქვეყანა საბჭოთა ადამიანის სიდიადეს, მის გამარჯვებას, ძლევის სიმღერას გადასცემს მთელ ქვეყანას, მთელ სამყაროს.

დიდება ამ შუქურვარსკვლავებს — კომუნიზმის მახარობლებს.

გ. თათარიშვილი.



არის სარეკორდო მოსავალი!

ყრილობას უპატაკეგს მესიმინდე კ. სანდუხაძე

შარშან მარტში მოწინავე ახალგაზრდობის რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა ყურადღება მიიპყრო ახოვანი ვაჟკაცის სიტყვებმა:

— როცა გავეცანი ცნობილი მესიმინდეების — გალელი ჩოქოლი ქვაჩახიას და ძუკუ რიგვავას წარმატებებს, გამოცდილებას, მიზნად დავისახე მემუშავნა მათი მაგალითის მიხედვით, მომეყვანა სიმინდის უხვი მოსავალი. მაშინ, 1958 წელს, რგოლის ხელმძღვანელობა მქონდა მონდობილი. ამოცანა რთული იყო: 15 ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე მიგვეღო 70 ცენტნერი სიმინდი, პირადად მე — 120 ცენტნერი. დადებული პირობა გავანაღდეთ. მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოვიყვანეთ 91 ცენტნერი.

— ეს სარეკორდო მოსავალია! 1959 წლისათვის რას ფიქრობთ? — გაისმა ხმები დარბაზში.

კონსტანტინე სახდუხაძემ გადახედა თათბირის მონაწილეებს და გაბედულად თქვა: 130 ცენტნერს მოვიყვანთ ჰექტარზე!

სამეურნეო წელი დამთავრდა. შეაჯამეს შედეგები, აღმოჩნდა, რომ კონსტანტინემ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება: ჰექტარზე მიიღო 130 ცენტნერი სიმინდი.

ამ წარმატების ამბავი მოედო არა მარტო სოფელ ორსანტიას, ზუგდიდის რაიონს, არამედ მთელ საქართველოს.

კომუნისტი
ორშაბათი, 25 იანვარი 1960 წ.

ქართული მარკით

კედელზე მსოფლიოს დიდი რუკაა ჩამოკიდებული. მთელი მისი ზედაპირი წვრილი წითელი ხაზებით არის დაქსელილი. ერთი შეხედვითაც კი შეამჩნევს მნახველი, რომ ეს ჩვეულებრივი რუკებისათვის დამახასიათებელი მერიდიანები და პარალელები არ აროს. ყველა ხაზი ერთი წერტილიდან — საქართველოს დედაქალაქიდან იწყება და შემდეგ სხვადასხვაგვარ იმლება რუკის თითქმის ზედაპირზე, ხოლო ზოგიერთი მათგანი მსოფლიოს უშორეს წერტილებამდეც კი აღწევს.

რუკა ერთადერთია. იგი შეიძლება ნახოთ მხოლოდ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს უცხოეთთან ურთიერთობისა და კოოპერირების განყოფილებაში, წითელი ხაზები მიუთითებენ, თუ სად, მსოფლიოს რომელ კუთხეში იგზავნება საქართველოში დამზადებული პროდუქცია.

თბილისი — პეკინი, თბილისი — ტოკიო, თბილისი — ნიუ-იორკი, თბილისი — ბუენოს-აირესი... ძნელია ჩამოთვალო ყველა ის ქალაქი და სახელმწიფო, რომლებთანაც დაკავშირებულია მშვიდობიანი ურთიერთობის ამ წითელი ძაფებით ჩვენი დედაქალაქი. საქართველოს მშრომელთა ნახელავი ორმოცდაათ სახელმწიფოში იგზავნება. მარტო გასულ წელს უცხოეთში 700 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია გაიგზავნა.

ვინ იფიქრებდა ამ ორმოციოდე წლის წინათ, რომ საქართველო — რუსეთის იმპერიის ჩამორჩენილი პროვინცია, სადაც ერთი ხელიანი ქარხანაც არ იყო, ლითონდამამუშავებელი ჩარხების, ფეროშენადნობების, ელექტროტექნიკური მოწყობილობის, ზუსტი ხელსაწყოების ერთ-ერთ მსხვილ ექსპორტიორად გადაქცეოდა. დიდი ოქტომბრის შუქმა გზა გაუნათა ქართველ ხალხს, შესაძლებლობა მისცა მას გაეშალა თავისი შემოქმედებითი ძალები, ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა ქართული მიწის ბარაქა, მისი წიაღის ულეველი სიმდიდრე.

...კიროვის სახელობის ჩარსამშენებლო ქარხნის ალაყაფის კარიდან ხშირად გამოდის უცხოეთში გასაგზავნი ლითონდამამუშავებელი ჩარხებით დატვირთული ეკიპაჟები. ყუთებზე, რომლებშიც შეფუთულია პროდუქცია, წაიკითხავთ წარწერებს — ჩინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, ინდოეთი, ავსტრია, ფინეთი და მრავალი სხვა. ქართველი ჩარხმშენებლები უცხოეთში გზავნიან არა მარტო სერიულ სახარატო ჩარხებს, არამედ მრავალი სახის ლითონდამამუშავებელ სპეციალურ ჩარხებსაც. არა ერთი მადლობა მიუღიათ კიროველებს იმ ქვეყნებიდან, სადაც მათი პროდუქცია იგზავნება.

უკვე კარგა ხანია ცნობილია თპვისი მაღალი ხარისხით ქართული მარგანეცი. მრავალი ეროვნების მეზღვაურები იცნობენ ფოთის ნავსადგურს — ასობით გემი დატვირთულა აქ ჭიათურაში ამოღებული ძვირფასი მადნით. იყო წლები, როცა უცხოეთში გაგვქონდა მარგანეცი, ხოლო იქიდან შემოგვქონდა იმავე მარგანეცისაგან დამზადებული ფეროშენადნობი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია შავი მეტალურგია. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკა ფეროშენადნობთა ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორია მთელ მსოფლიოში. ათობით ქვეყანაში გამოდნობილ ფოლადს აწრთობს და აძლევს სიმტკიცეს ზუსტფონელ მეტალურგთა ნადნობი ძვირფასი ლითონი.

ბევრს კარგად ახსოვს ის დრო, როცა ამერიკელებს ჭიათურაში კონცესია ჰქონდათ და მარგანეცის ამოღებას აწარმოებდნენ. მას შემდეგ სულ სამიოდე ათეული წელი გავიდა. ვინმეს რომ ეთქვა ამ ამერიკელებისათვის — მალე საქართველო თვითონ აქცევს ფეროშენადნობებად თავის მარგანეცსო, ალბათ მათ ირონიულად გაიღიმებოდათ, მაგრამ გავიდა წლები, და ჩვენს რესპუბლიკაში იმდენი ფეროშენადნობები მზადდება, რომ თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც იგზავნება.

ყოველწლიურად იზრდება ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო ძლიერება და ამასთან ერთად კიდევ უფრო მრავალფეროვანი ხდება უცხოეთში გაგზავნილი პროდუქცია. რა არ არის მათ რიცხვში — მიწისაწოვი მანქანები და ნავთობის პროდუქტები, ლითონის მილები და ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები და მაგნიტური გამშვებები, სამედიცინო პრეპარატები და პლასტმასის ნაკეთობანი. უკვე საქვეყნოდ არის ცნობილი ქართული ღვინოების, კონიაკების, ჩაისა და თამბაქოს გემო და არომატი, ქართველი ფეიქრების ხელით მოქსოვილი აბრეშუმისა და შალის ქსოვილების შნო და ლაბათი.

გასულ წელს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ პირველად გაიგზავნა სახეხი ჩარხები, სიჩქარსაზომები, წნევის რეგულები, ხიდის კონსტრუქციები და ლოპოტის, სალიეთის, სვანეთის მარმარილო. ახალმა პროდუქციამ გამოჩენისთანავე მიიპყრო საერთო ყურადღება. განსაკუთრებით დიდი მოწონება ხედა ქართულ მრავალფეროვან მარმარილოს. სხვადასხვა სახელმწიფოებიდან, განსაკუთრებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან განუწყვეტლივ მოდის მოთხოვნები მარმარილოს ექსპორტის რამდენჯერმე გაზრდის შესახებ.

შვიდწლედის წლებში ახალ მწვერვალებს მიაღწევს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა, ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან ქართული მარკით გამოვა მრავალი ახალი სახის პროდუქცია. კიდევ უფრო გაფართოვდება ეკონომიური ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან. ქართველი ჩარხმშენებლების, მანქანათმშენებლების, მეტალურგების, მრეწველობის ყველა მუშაკის ღირსების საქმეა, რომ ყველგან, სადაც კი მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია მივა, თქვან — ქართულია? კარგია!

რ. ბერგაია,
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს უცხოეთთან ურთიერთობისა და კოოპერირების განყოფილების უფროსი.

გაზაფხულივით აყვავებული...

ბედნიერ დღეს ადამიანები ყოველ განვლილ სასიხარულო წუთსა და საამაყო საქმეს იგონებენ... სასიხარულო წუთები ქმნიან სასიხარულო თვეებს და საამაყო საქმენი — საამაყო გამარჯვებათა ნაკადს. ამ დიდ სიხარულსა და გამარჯვებებზე იზრდებიან გულმოდგინენი ადამიანები, რომლებსაც წინ მიჰყავთ ცხოვრება.

ჩვენ წინ ცხრამეტი საუკუნეა აღნუსხული და უამრავი ათასწლეული აღუნუსხველი. დავსხდებით საუბრად იმ შორეულ ათასწლეულთა, საუკუნეთა შთამომავალნი და ვიგონებთ თითო-ოროლა სტაყვას, ძველ ბერძენ ყამთაალმწერლებს რომ უთქვამთ ქართველთა მამაცობაზე. შროშანმოყვარეობაზე, სპრძოლო-საცეცეკო სიმღერებსა და მუსიკაზე. სიამაყის გრძნობით ვიგონებთ იმ უძველეს სურვილსა და ცოლისპირებზე მიხატულ გაფრენილ ირემებსა თუ გუთნეულს, არმაზში რომ აღმოუჩენიათ არქეოლოგებს... ან სწავლულთა მიერ ნაპოვნ ძველ ქართულ საგალობლებსა და სძილისპირებს, რომელთა სასიამოვნო ჰანგიც აურაცხელ ადამიანს იზიდავდა მთელ აღმოსავლეთში...

გაივლის წლები, და ჩვენი შთამომავალნიც დასხდებიან საუბრად. მათს საუბარში წლები დაუპირისპირდება იმ შორეულ საუკუნეებსა და ათასწლეულებს. ამ წლებს ჩვენი ცხოვრების შუქი ეფინება, ახალი საქართველოს ცხოვრების შუქი, და მათ ამ ცხოვრების ყოველი წუთი ექნებათ საამაყოდ. ან რა შორს მივდივართ, მარტო 1958 და 1959 წლები რად ღირს!

... 1958 წლის 21 მარტს გაზეთი „პრავდა“ წერდა:

„დღეს მოსკოვში იხსნება ქართული ხელოვნებისა და მწერლობის დეკადა— მთელი საბჭოთა მრავალეროვნული კულტურის დიდი დღესასწაული. მრავალი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა და მდიდრდებოდა ქართველი ხალხის კეთილშობილური და დემოკრატიული ტრადიციები. ამ ძველისძველმა, მაგრამ გაზაფხულივით აყვავებულმა კულტურამ საუკუნეებში გამოატარა და შეინარჩუნა თავისი ხალხის სიკეთე და სულიერი ფხიზლობა, მისი ძალუმი სიცოცხლისმოყვარეობა, რომელიც ვერ გატეხა მძიმე განსაცდელის ჟამმა, მეაცრამ ბრძოლებმა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის“.

მოსკოვისა და ცენტრალურ პრესაში მთელ ორ კვირას არ შეწყვეტილა აღფრთოვანებული წერილები. მარტო ამ წერილების ერთად თავმოყრა შექმნიდა რამდენიმე ტომს! მოსკოვის თეატრები, საკონცერტო დარბაზები, კლუბები, კინოთეატრები ქართული ხელოვნების წარგზავნილებს ეკრანთ — გულწრფელად აღტაცებული რუსი მაყურებელი თუ მსმენელი სიყვარულით ეგებებოდა მათს ყოველ გამოჩენას... დეკადიდან დაბრუნებული გალაკტიონ ტაბიძე ბავშვივით გახარებული ამბობდა, მოსკოველები მხოლოდ ყვავილების თაიგულებით გვხვდებოდნენ ქართველებსო...

დეკადაზე მთელმა მოსკოვმა ერთხმად აღიარა სპექტაკლ „ოტელოს“ ბრწყინვალება. სახალხო არტისტები გალინა ულანოვა და ვერა მარეცკაია წერდნენ, ვახტანგ ჭაბუკიანი საბჭოთა სახალხო ხელოვნების ფენომენიაო... ხოლო ბელგიის დედოფალმა ელისაბედმა ერთ-ერთ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, მეტად ბედნიერი ვარ, რომ ვნახე და მოვისმინე ბალეტი „ოტელო“ ასეთი ჩინებული შესრულებითო.

მოსკოვს მოჰყვა ორთვიანი გასტროლები ლათინურ ამერიკასა და ავსტრიაში. ქართულმა საბალეტო ჯგუფმა ვახტანგ ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით ერთხელ კიდევ უჩვენა მსოფლიოს ჩვენი „უძველესი, მაგრამ გაზაფხულივით აყვავებული კულტურის“ ძალა და ეშხი. ჩილი, არგენტინა, მექსიკა, პარაგვაი ალტაცებული უკრავდნენ ტაშს, ხოლო ავსტრიელი გაზეთები წერდნენ, ჩვენს ქვეყანას დიდხანს ემახსოვრება ქართველ ოსტატთა წარმტაცი გამოსვლებიო.

... 1812 წელს საქართველოში ნამყოფი ინგლისელი მბაძავარი და მოგზაური რობერტ კერ-პორტერი წერდა: „ჩამწკრივებულმა ჭაბუკებმა თავიანთი ეროვნული ცეკვა იცეკვეს... ეს არ იყო უბრალო სანახაობა, ეს ნამდვილი წარმოდგენა იყო — ისტორიული წარმოდგენა, ერის წარსულთან დამაკავშირებელი... მათი სიმღერა მამაცი მამულიშვილების სიმღერაა. იწყებენ ერთად და მათს ხმაში გაისმის მამაცი ქართველი ხალხის მხნეობა. მათი საკრავი ძნელად ასაწერია“. მას შემდეგ თითქმის ასორმოცდაათი წელიწადი გავიდა და ინგლისელებმა შარშან იხილეს თავიანთ ქვეყანაში საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლი, რომელსაც ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი ხელმძღვანელობენ. ინგლისელებს ალბათ აღარც ახსოვდათ რას წერდა მათი თანამემამულე კერ-პორტერი ამ ასორმოცდაათი წლის წინათ, და ბრიტანელმა „ახლად აღმოჩენილ ცეცხლოვანი ქართული საცეკვო ხელოვნება“. კერ-პორტერის შთამომავალმა ალისიდორ გრინმა ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ინგლისურ გაზეთში ასორმოცდაათი წლის შემდეგ დაწერა: „სიტყვა ვერ აღწერს იმ ფანტასტიკურ გაკვირვებას, რომელიც საქართველოს ხალხური ცეკვის სენსაციურმა ანსამბლმა გამოიწვია ალბერტ ჰოლში პირველივე გამოსვლისას. ეს საღამო ელდაბაკს დარჩება მათს ხსოვნაში, ვინც ამ ისტორიულ წარმოდგენას ესწრებოდა. შვიდი ათასი კაცი ფეხზე ამდგარი მიესალმებოდა ბრწყინვალე მოცეკვავეებს... უყოყმანოდ შემიძლია ვთქვა, რომ ამ საოცარ მოცეკვავეთა ანსამბლი უდიდესი ანსამბლია, რომლის მსგავსიც არასოდეს არ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში. გემუდარებით: წადით და თქვენი თვალით ნახეთ, სანამ ამის შესაძლებლობა გაქვთ“.

ინგლისი პირველი საგასტროლო ქვეყანა არ ყოფილა საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლისათვის. ქართველმა მოცეკვავეებმა ამ წელიწადნახევრის წინათ ჯერ საფრანგეთი და იტალია გააოცეს.

ხოლო 1958 წელს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გამართულ მსოფლიო გამოფენაზე „შვიდკაცამ“ ერთხელ კიდევ აგრძნობინა უცხოელ მსმენელებს ქართული სიმღერის მრავალფეროვნება და ტაბლიბმოვანება...

დღეს სად, რომელ ქვეყანაში არ ისმენენ ქართველი კომპოზიტორების ანდრია ბალანჩივაძის, ალექსი მაჭავარიანის, თთარ თაქთაქიშვილის, სულხან ცინცაძის ნაწარმოებებს? დღეს სად, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში არ კითხულობენ ქართველი საბჭოთა მწერლების ლექსებსა და მოთხრობებს? დღეს სად, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში არ ნახავთ ქართველ მხატვართა ნამუშევრებს?

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩიხეთში გამოვიდა ირაკლი აბაშიძისა და სიმონ ჩიქოვანის ლექსები, ხოლო რუმინეთში „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელმა ვიქტორ კერნბახმა გიორგი ლეონიძის რჩეული ლირიკა გამოსცა. ცნობილი ფრანგი კრიტიკოსები საყურადღებო წერილებით გამოეხმაურნენ ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუასა“ და კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ოელხეთის ცისკრის“ ფრანგულ გამოცემებს.

«ერთხელ დახოცილები»

ჭიათურა. (საკ. კორ.). აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა გ. კანდელაკის პიესა „ერთხელ დახოცილები“. სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა მ. ვაშაძემ, მხატვრულად გააფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. აბიანდაძემ.

როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ვ. სვანელი, გ. ტყაბლაძე, მ. ვაშაძე, მსახიობები — ა. მოსაშვილი, ა. დათებაშვილი, დ. ჯაფარიძე, ნ. ერიაშვილი, ბ. დურმიშიძე, მ. კუსიანი, გ. მოდებაძე, ვ. ვაშაძე და სხვები.



ზერკინება ორპირდი

ბაკურიანი. (ტელეფონით „კომ... ტის“ სპეც. კორ.). ...ერიადღი, 24 ... რი, დაეთმო სათხილამურო სპორ... ყველაზე საინტერესო სახეობას — ტ... პლინდან ხტომას. სტარტზე გამოვ... ორმეოცდელები. გამარჯვებისათვის იბ... და 42 სპორტსმენი. სსრ კავშირის ... ერთგზის ჩემპიონმა ლ. ფეოდორ... („ლოკომოტივი“, ლენინგრადი) ყველ... უკეთ შეასრულა ხტომები და 451,3 ... ლით პირველი ადგილი დამსახურა. ... ორე ადგილი მოიპოვა დიმიტრი კორ... მა (ცსკა მო) — 444,1 ქულა.

ორმეოცდა ხტომების დამთავრ... შემდეგ, როცა ბრძოლაში ჩაებნენ ... ლიერესი მხტომელები, ამინდი გაუარ... და. დაიწყო თოვა, ქროდა ქარი. გამა... ვებისათვის მებრძოლი 62 სპორტსმ... დან კარგი შედეგი აჩვენა კობა წიკ... 216 ქულით იგი მეორე ადგილზე გა... ვიდა. პირველობა წილად ხვდა მოს... ვილ სპორტის ოსტატს ნიკოლოზ კ... სკის („დინამო“), რომელმაც 222 ქ... მოაგროვა. მესამე ადგილი დაიკავ... ნინგრადელმა სტუდენტმა ევგენი ... ზინმა.

ევროპის პირველობა ციგურაობაში

23 იანვარს ნორვეგიის დედაქალაქ ... ლოს („ბიმლეტის“ სტადიონზე საბჭ... გაიხსნა ევროპის ჩემპიონატი ჩქარსლ... ციგურაობაში ვეფთა ... რის. სტარტზე გამოვ... ნენ 9 ქვეყნის უძლეს... სი მოციგურავეები, ... მელთა შორის იყვნენ ს... კავშირის, ნორვეგიის ... ფინეთის წარმომად... ლები — ო. გონჩარენ... კ. იუხანსენი, ი. ია... ნენი და სხვ.

პირველი დღის პრ... რამაში შედიოდა ჩქარ... ნული ციგურაობა 500 ... 5.000 მეტრზე. მოუხე... ვად ომისა, რომ სპორ... სმენებს ამინდი ხელს ... უწყობდა, ბრძოლა ... ტანციებზე შეუპოვარი ... საინტერესო იყო.

შეჯიბრება 500 მეტრ... რბოლით დაიწყო. წყ... ლები რიგრიგობით ცვ... ლნენ ერთმანეთს. ყველ... ზე უკეთესი დრო (4... წამი) აჩვენა კუიბიშევ... სამშენებლო ინსტიტუტ... სტუდენტმა სპორტსმენ... ზაიცევმა. მეორე ადგილ... ზე გამოვიდა სტენინი (ს... კავშირი).

მომდევნო დისტანციაზ... — 5.000 მეტრზე ციგურ... ობაში საბჭოთა სპორტსმ... ნების შედეგები დაბალი იყო. აქ თ... ისახელა ცნობილმა სტაიერმა იუხანსენ... მა. მან აჩვენა კარგი დრო — 8 წუთი ... 42 წამი.

ორი დისტანციის შედეგების ჯამით ლ... დერია იუხანსენი. მომდევნო ადგილ... ზე არიან სალონენი, სტენინი და გონ... ჩარენკო.

გუშინ გაიმართა უკანასკნელი შეხვ... რები.

გუშინ თბილისში სურათების სახელმწიფო გალერეაში გაიხსნა ახალგაზრდა ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობას მიეძღვნა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ახალგაზრდა მხატვართა ოთხასამდე ნამუშევარი.

ვაქვეყნებთ გამოფენის მონაწილე ე. მეძმარიაშვილის სურათის — „ოცნების“ რეპროდუქციას.

„საბჭოთა მერი პიკფორდი“

უკვე დიდი ხანია ლეილა აბაშიძის — ამ ნიჭიერი ქართველი კინომსახიობის პოპულარობა ფართოდ გასცდა მშობლიური ქვეყნის საზღვრებს...

ფილმები ლეილა აბაშიძის მონაწილეობით არაერთგზის ყოფილა დიდი წარმატებით დემონსტრირებული ამერიკის შეერთებული შტატებისა თუ საფრანგეთის, იტალიისა თუ ავღანეთის, ჩეხოსლოვაკიისა თუ პოლონეთის კინოეკრანებზე...

თვითონ ლეილა აბაშიძეს საბჭოთა კინოხელოვნების გამოჩენილ ოსტატებთან ერთად არაერთგზის მიუღია უშუალო მონაწილეობა რომში, მილანში, პარიზში, ლილსა თუ პრაღაში მოწყობილ საბჭოთა ფილმების კვირეულებში, კანისა თუ კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალებში...

გავლენიანი საზღვარგარეთელი კინოკრიტიკოსები აღფრთოვანებით წერდნენ ამ პოპულარული ქართველი კინომსახიობის შემოქმედებითს ოსტატობაზე, ხოლო ამერიკელმა კინომცოდნემ ბენ ლევინმა ნიუ-იორკის ცენტრალურ კინოთეატრ „სტენლიში“ ქართული ფილმის „პრიკინას“ დემონსტრაციასთან დაკავშირებით მას „საბჭოთა მერი პიკფორდი“ უწოდა...

ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ შორეული არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში გამომავალი პოპულარული კინოჟურნალი „კინე მუნდიალი“ აღტაცებით ლაპარაკობს „პოპულარულ ქართველ კინოვარსკვლავ“ ლეილა აბაშიძეზე და მას ჟურნალის მთელ გვერდს უძღვნის.

ჟურნალი ლეილა აბაშიძეს უწოდებს „გამოჩენილ საბჭოთა კინომსახიობს“, რომლის ფილმებს „უდიდესი წარმატება აქვს როგორც თავის ქვეყანაში, ისე მისი ქვეყნის გარეთაც“. იგი არგენტინელ კინომოყვარულებს საინტერესოდ მოუთხრობს ამ პოპულარული ქართველი კინომსახიობის ბიოგრაფიაზე, რომელიც წერილის ავტორის სიტყვამოსწრებული შენიშვნით „ისევე საინტერესოა, როგორც მის მიერ შექმნილი პერსონაჟები კინოხელოვნებაში...“

თავდაპირველად სტატიაში იუმორისტული ფერებით არის დახატული პატარა ლეილას ანცი, მოუსვენარი ხასიათი, რომლის გამო მას კინორეჟისორები ხუმრობით ეუბნებოდნენ „შენ თხა ხარ, თუ გოგონა?“ შემდგომ სტატიაში ლაპარაკია იმაზე, თუ სწორედ ამ ანცმა და მოუსვენარმა ხასიათმა როგორ შეუწყო ხელი ცხრა წლის სრულიად გამოუცდელ გოგონას კინორეჟისორ კონსტანტინე პიპინაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით შესანიშნავად განესახიერებინა კატოს როლი ქართულ ფილმ „ქაჯანაში“. „ამ ფილმში, — შენიშნავს ჟურნალი, — მის მიერ შესრულებულ როლს ისეთი წარმატება ხვდა, რომ ყველა კინორეჟისორს მოუნდა ეს გოგონა თავის დადგმებში მიეწვია“...

არგენტინული კინოჟურნალი დიდ ყურადღებას უთმობს დამწყები კინომსახიობის მორიგ შემოქმედებით წარმატებას ნაზიბროლას როლში (ფილმში „პოეტის აკვანი“) და განსაკუთრებით ხაზს უსვამს ლეილა აბაშიძის ბრწყინვალე აქტიორულ გამარჯვებას ქართულ კინოკომედიებში „პრიჭინა“ და „აბეზარა“, აგრეთვე ფილმ „ჩვენს ეზოში“.

„ამ ფილმებში, — ასკვნის არგენტინული კინოჟურნალი, — ლეილა აბაშიძემ დაგვიხატა ბრწყინვალედ შესრულებული მხატვრული ტიპები, რომლებიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ...“

* * *

სურათზე: კადრი რეჟისორ კ. პიპინაშვილის ახალი კინოფილმიდან „ხად არის შენი ბედნიერება, მზია?“ მზია — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლეილა აბაშიძე.

ფოტო ე. სუსუნიკაშვილისა.

«ჰამლეტი» რუსთაველის თეატრში

გუშინ, 24 იანვარს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა უ. შექსპირის უკვდავი ტრაგედია „ჰამლეტი“. დადგმა განახორციელა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ, მხატვრულად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა ფ. ლაპიაშვილმა, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ა. ჩიმაკაძემ.

როლებს ასრულებდნენ: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. გეგეჭკორი (ჰამლეტი), სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ზაქარიაძე (კლავდიუსი), საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. ლაფაჩი (გერტრუდა), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი მ. ჩახავა (ოფელია), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კ. მახარაძე (ლაერტი), მსახიობები ბ. კობახიძე (პოლონიუსი), ნ. ანდღულაძე (ჰორაციო), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. ზაქარიაძე (პირველი მსახიობი).

სპექტაკლს დაესწრნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დელეგატები.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, პროფესიული ბიბლიოთეკის და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.